ეკო-ატივისტ ქალთა მიერ, მმართველი პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად გამოყენებული მექანიზმების შეფასება, 2012 წლიდან 2021 წლამდე შუალედში

ავტორი: თამარ მკურნალიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი, მაგისტრი, დოქტორი: ნოდარ ტანგიაშვილი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი:

პროფესორი, მაგისტრი, დოქტორი: ზოე ლეფკოფრიდი

წარდგენილია:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო 2021

მომზადებულია:

პარიზ ლოდრონის უნივერსიტეტი, ზალცბურგი, ავსტრია 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - ეკო-ატივისტ ქალთა გავლენის დონის შეფასება მმართველი პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებებზე - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ მკურნალიძე 25/06/2021

მადლობის წერილი:

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი პროფესორ ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს, რადგანაც უძღვებოდნენ ნაშრომზე მუშაობის პროცესს.

აგრეთვე დიდ მადლობას ვუხდი ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორ, მაგისტრს, დოქტორსა და პროფესორ, დოქტორ ანდრეას დურს, რომელიც მნიშვნელოვან რჩევებს მაძლევდა ნაშრომის მომზადებისას, მაგისტრატურის სასემინარო კურსის ფარგლებში. სწორედ ამ კურსისა და ხელმძღვანელების დამსახურებაა, რომ მოხერხდა ნაშრომის იმ სახით მომზადება და წარდგენა რა სახესაც იგი ამ მომენტისთვის ატარებს.

აბსტრაქტი

ქალთა ემანსიპაციის მოძრაობები მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული იღებენ სათავეს. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული იკვეთება ტენდენცია, რომ ეკო აქტივიზმში ძირითადად ქალები არიან ჩართულნი, სხვა და სხვა სახელმწიფოებში. რაც საინტერესოს ხდის თუ რა გზებით ცდილობენ ისინი გავლენა მოახდინონ მმართველი პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებებზე.

ნაშრომში განხილულია ეკოაქტივისტ ქალთა მიერ განხორციელებული საქმიანობების როლი საქართველოში არსებული მმართველი პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად კი მწვანე საჯარო პოლიტიკის ფორმაციის პროცესებზე. საკვლევ პერიოდს კი წარმოადგენს 2012 წლიდან 2021 წლამდე არსებული შუალედი.

2012 წლიდან 2021 წლამდე ქართული ოცნება წარმოადგენს მმართველ პოლიტიკურ ძალას საქართველოში. სწორედ ამიტომ იქნა ეს პერიოდი საკვლევ შუალედად შერჩეული. ამ გზით ხელი შეეწყო აქცენტების ფოკუსირებას ერთის მხრივ ერთ კონკრეტულ პარტიაზე, ხოლო მეორეს მხრივ იმ საქმიანობებზე რასაც ეკოაქტივისტი ქალები ახორციელებდნენ საქართველოში მოცემულ პერიოდში.

კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ ცდილობენ ეკოაქტივისტი ქალები საქართველოში მმართველ პოლიტიკური პარტიის გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად კი საქართველოს საჯარო პოლიტიკის ფორმაციაზე გავლენის მოხდენას.

მიზნის მისაღწევად გამოყენებულია როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობითი კვლევის მეთოდები და შემთხვევის შესწავლის ანალიზი.

კვლევის მოლოდინის თანახმად ზოგადი ფინანსური ფონი დამოკიდებულებაშია საჯარო პოლიტიკაზე გავლენასთან.

საძიებო სიტყვები: ქალთა ემანსიპაცია, ქალთა მოძრაობები, აქტივიზმი, ქალთა ჩართულობა აქტივიზმში, ეკოაქტივისტი ქალები, გავლენა საჯარო პოლიტიკაზე, გავლენა მმართველი პოლიტიკური ძალის გადაწყვეტილებებზე, ეკო-სოციალური ფონი, გავლენის შეფასება, საჯარო პოლიტიკის ფორმაცია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები, მწვანე საჯარო პოლიტიკის ფორმაცია

Abstract

The emancipation movements of women from the beginning of the 20th century onwards take root. It is from this time on that there is a tendency that mainly women are involved in eco-activism, in different countries around the world. This makes it interesting to find out which ways eco-activist women use to make an impact on the ruling political party of Georgia.

The role of the work of Georgia-based female eco-activists on the decisions of the governing political party and therefore the formation of the ecological public policy of Georgia from 2012 to 2021 is being discovered in this paper.

From 2012 to 2021 Georgian Dream has been in power, therefore it has been interesting to make a research on the nature of work done by environmental, Georgia-based activists during the period of one and the same ruling political party. This way it has been made possible to from one side focus on the work done by ecoactivist, Georgia-based women and from another side the change of environmental policy of Georgia, with the main focus of the election campaigns of the ruling political power.

Both qualitative and quantitative research methods and case study analysis are used to achieve the goal.

It has been predicted that the financial conditions affect the impact opportunities on the public policy formation process.

Keywords: Emancipation, Feminist Movements, Activism, Eco-feminism, Eco-Activist Women, Influence on a Public Policy, Influence on the Ruling Political Power Decisions, Eco-Social Background, Impact Assessment, Public Policy Formation, Environmental Solution